№ 38 სამშაბათი, 13 ოქტომბერი 1909წ.

# მომავალი

№ 38 სამშაბათი, 13 ოქტომბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი **მიულენ-ელექტრიკ** თეატრი

1-ლ სახელმწიფო დუმის დეპუტატის

## გერცენშტეინის მოკვლის საქმე.

სასამართლოს სხდომა ფინლიანდიაში. პროგრამის გარეშე აჩვენებენ გამოჩენილ ვებერს, ბულაცელს და ამასთანავე ლარიჩკინს, პოლოვნევს და სხვ.

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს** 1909 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

**სამხედრო განაკში**

დრამა 4 მოქმ. ბეიერლეინისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 24 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენათ «ღალატი» სუმბათაშვილისა და სხვა.

**დაბეჯითებითა** ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს gala-წარმოდგენა პირველათ თფილისში ფრანჩესკო ჩილეას ოპერა 4 მოქმ.

**„ადრიენნა ლეკუვრერ“**

მუსიკალური დადგმა ნ. ა. მიკლაშევსკის, სასცენო—ანტ. ეიხენვალდისა.

მომქმედნი პირნი ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ვოლსკისა, კალინინა, ფერრარი; ბ-ნნი: ბორისენკო, დემიანენკო, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ხვალ ჟ. ბიზეს „**კარმენი**“. (0—6)

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიევი ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ა. გ.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ., ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**პირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საზებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—10)

ვოგზლის კერძო სამკურნალო

დიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაკზაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე**: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი**: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი**: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი**: სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი**: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის **50** კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—10)

„**ქ. შ. წ. კ. გ. ს.**“ **ბათომის განყ.**

**გამგეობა**

აცხადებს, რომ განთავისუფლდა ბათუმის ქართულ სკოლაში მასწავლებლის ადგილი და იწვევს

**მასწავლებელ ქალს**

თავისუფალ ადგილზე. წლიური ჯამაგირია 600 მ. თხოვნა, რომელშიაც აღნუსხული უნდა იყოს ყოველი ცნობა მთხოვნელის შესახებ, უნდა გამოიგზავნოს ბათუმის ქართულ სკოლაში. მასწავლებლის დანიშვნა მოხდება 25 ოქტომბერს. (1—1)

**—იაფათ—**

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები, ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში. 0—თ—5

## სახელმწიფო დუმა

(პ. დ. ს.)

10 ოქტომბერი.

დღის 1 საათსა და 30 წუთზე თავრიდის სასახლეში სახელმწიფო დუმის წევრთა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და სხვათა თანდასწრებით გადახდილ იქნა სადღესასწაულო პარაკლისი. პირველი სხდომა გაიხსნა დღის 2 საათსა და 14 წუთზე. თავმჯდომარეობს ხომიაკოვი. დარბაზი სავსეა დეპუტატებით. მხოლოდ სხდომის გახსნისას ს.-დემოკრატები არა სჩანან. თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დუმას ფეხზე ადგომით პატივი სცენ გარდაცვალებულ წევრთა ხსოვნას. შემდეგ დუმა ღებულობს წინადადებას გაიმართოს საზოგადო კრებები ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11 საათიდან 1 საათამდე. დღის 2 საათიდან და საღამოს 8 ნახევარ საათიდან. კამათია მახლობელ დღეებში მუშაობის გეგმის შესახებ. **შიდლოვსკი** მხარს უჭერს წევრთა ერთი ჯგუფის წინადადებას პირველ რიგში დააყენონ მიწების მოწესრიგების საკითხი. კათედრაზე ადის მილიუკოვი. **პურიშკევიჩი** ადგილიდან: „მისი უდიდებულესობის ლოიალური ოპოზიცია. (ხმაურობა, სიცილი). **მილიუკოვს** ვერ გაუგია რატომ აყენებს პირველ რიგში ცენტრალური პარტია მიწების მოწესრიგების საკითხს, როდესაც თავის სიეზდის რეზოლიუციებში სურვილი გამოსთქვა საჩქაროთ გადაწყვეტილ იქნას კანონ-პროექტები მოქალაქობრივ თავისუფლების განხორციელების შესახებ. მთავრობამ აშკარათ დაგვანახა, რომ ის მარჯვენით მიჩოჩავს, როცა ცენტრმა განიზრახა მარცხნით გაწევა. რომ ცენტრალურ პარტიას მოფიქრების დრო მისცენ, კადეტებმა წინადადება შეიტანეს პირველ რიგში დააყენონ პირობით დასჯის შესახებ კანონ-პროექტი, რომ შემდეგ პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ კანონ-პროექტი წამოაყენონ. **ლერხე** ამბობს, რომ მილიუკოვის წინადადება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ოქტომბრისტთა წინადადება არ გამოცხადებულა სავსებით, მათ კი აზრათ აქვთ მიწების მოწესრიგების საკითხის შემდეგ გადავიდენ პიროვნების ხელშეუხებლობის, ადგილობრივ სასამართლოების და თანამდებობის პირთა პასუხისგების საკითხზე. თავ. **ტენიშევს** ვერ გაუგია როგორ ბედავს მილიუკოვი გაავრცელოს ხალხში და დუმის წევრებში ყალბი ცნობები. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ პიროვნების ხელშეუხებლობის კანონი ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა ადგილობრივი სასამართლოები ძირიანათ გადაკეთდება. **მიაგკი** შრომის ჯგუფის სახელით წინააღმდეგია პირველ რიგში დაისვას მიწების მოწესრიგების საკითხი და წინადადებას იძლევა უპირველეს ყოვლისა განახორციელონ 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული თავისუფლებები. **ნიკოლაენკო** საჭიროთ სცნობს, როგორც ქრისტიანი კაცი, ჩქარა განხილულ იქნას მიწების მოწესრიგების საკითხი. **კროპოტოვი** ამბობს, რომ მიწათა მოწესრიგების კანონპროექტი გლეხებს მიწებს არ შემატებს და თავიანთ მიწებს კი უამისოთაც მოუვლიან. **გუჩკოვი** აცხადებს, რომ შრომის ჯგუფის წარმომადგენელის განცხადებაში რაღაც სიყალბე გამოკრთის. ცენტრის პარტია მწვავე კითხვათ სთვლის აგრარულ საკითხს და საჭიროთ სცნობს მის უპირველესათ განხილვას, რომლის შემდეგაც გადავა ხალხის თავისუფლების პარტიის მიერ ნაჩვენებ კითხვებზე. უწყებების შედგენის დროს პოლიტიკურ რეკლამებს ჩვენ არ მოვითხოვთ—ეს სხვებისთვის მიგვინდვია—დაასრულა გუჩკოვმა. (ცენტრში ტაშის-ცემა). **მილიუკოვი**—ისევ წინააღმდეგობას აცხადებს დაყენებულ იქნას პირველ რიგში მიწების მოწესრიგების შესახებ კანონ-პროექტი. **ბულატი** შრომის ჯგუფის სახელით წინადადებას იძლევა პირველ რიგში წამოაყენონ პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ კანონ პროექტი და შემდეგ განსაკუთრებულ წესების, მოსამსახურეთა დასჯენების და ადგილობრივ სასამართლოების შესახებ.

კენჭის ყრით შრომის ჯგუფის და ხალხის თავისუფლების პარტიის წინადადება უარყოფილ იქნა. დუმამ მიიღო ოქტომბრისტების წინადადება ორშაბათის სხდომაზე წამოაყენონ მიწების მოწესრიგების შესახებ კანონ-პროექტი. სხდომა დღის 3 საათსა და 22 წუთზე დაიხურა.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11—12 ოქტომბერი.

**სპარსეთი.**

**თავრიზი.** ისევ გაიხსნა გასულ წელს რახიმ ხანის რაზმის მიერ განადგურებული რუსეთ-სპარსეთის სასწავლებელი. რუსული ენის სწავლის მსურველი ბევრია. თავრიზის ფიდაები ბრალს სდებენ მუხაბირუს—სულთანეს, რომ მან განგებ გაგზავნა არდებილში სათარხანი, რომ მახეში გააბას.

**საზღვარ-გარეთ**

**პარიჟი.** ხელმწიფის გავლას მოკავშირე ქვეყანაში გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ და იმედოვნებდენ, რომ ხელმწიფის მოგზაურობა კიდევ უფრო განამტკიცებს საერთაშორისო მშვიდობიანობას.

**ბოლონია.** გაზეთებმა ხელმწიფის სურათი დაბეჭდეს. მის მოგზაურობას თანაგრძნობის წერილებს უძღვნიან.

**რომი.** ხელმწიფის მოსვლის გამო ქალაქის საზოგადო დაწესებულებები დროშებით მორთეს.

**ლონდონი.** საფინანსო ბილლის შესახებ კამათის დაწყების გამო საზოგადოებათა პალატის კრებაზე ხაზინის კანცლერმა ლლოიდ ჯორჯმა გუშინ შეიტანა შემოსავლის - ხარჯთ-აღრიცხვა. ერთი მხრით შემოსავალი მეტი იქნება 1,850, 000 გირვანქა, მეორე მხრით 210,000 ნაკლები.

**რომი.** დილის გაზეთები დიდის ამბით ესალმებიან ხელმწიფის მოსვლას.

**კოპენჰაგენი.** მეფემ დილით მიიღო გრაფი გოლშტეინი, რომელმაც გადასცა გადადგომის თხოვნა. მეფემ სთხოვა გრაფს დროებით იკისროს სამინისტროს ხელმძღვანელობა. საღამოს მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა.

**ბელგრადი.** რადგან რადიკალურ პარტიის ორივე ჯგუფი ვერ შეთანხმდა, პაშიჩმა უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე. მეფემ ისევ მიიწვია სკუპჩინის პრეზიდენტი ნიკოლიჩი.

**ტოკიო.** აქაურ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ თავადი იტოს წასვლა ხარბინში და რუსეთის ფინანსთა მინისტრთან შეხვედრა განამტკიცებს რუსეთ-იაპონიას შორის მეგობრულ კავშირსო.

**ტურინი.** პოლიციამ აკრძალა მუშების მანიფესტაცია. მუშათა კომიტეტმა შრომის მთავარ კონფედერაციის სადგომში მოიწვია საიდუმლო კრება. კრებაზე, მხოლოდ რამდენიმე ასი მუშა გამოცხადდა, თუმცა აქ ორასი ათასი მუშა იქნება.

**რომი.** რამდენიმე ქალაქში დღეს სოციალისტებმა და ანარხისტებმა განიზრახეს საპროტესტო მიტინგის მოწვევა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან მცხოვრებნი არ თანაუგრძნობენ. ანკონში, რავენში და სიენში განიზრახეს საყოველთაო გაფიცვა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან მცხოვრებლებმა პროტესტი განაცხადეს მანიფესტანტების წინააღმდეგ.

**კოპენჰაგენი.** დღეს მეფემ მიიღო რადიკალების ლიდერი ცალკი, მას მიიღებს ხვალაც პოლიტიკურ მდგომარეობის გამოსარკვევათ

აქაურ უნივერსიტეტის რექტორმა კუკისაგან დეპეშა მიიღო, რომ ერთი თვის შემდეგ გაგზავნის კოპენჰაგენში თავის მდივანს, რომელიც თან წაიღებს პოლიუსზე მოგზაურობის დროს აღწერილობას. ინსტრუმენტებს კი მომავალ წელს გაგზავნის.

**ბელგრადი.** ახალი კაბინეთის შედგენილობა: მინისტრ-პრეზიდენტი—„სტარო-რადიკალი“ პაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი—მილოვანოვიჩი, შინაგან საქმეთა—ლიუბა იოვანოვიჩი; ფინანსთა—პროტიჩი; სარწმუნოების—მლადო-რადიკალი—ზუიოვიჩი; იუსტიციის—ტიმიტიოვიჩი; ვაჭრობის—პროდანოვიჩი; საზოგადო სამუშაოთა—ბულონიჩი და სამხედრო—პოლკ. მარინოვიჩი.

**რუსეთი.**

**კიუვენეპე.** გერცენშტეინის მკვლელის საქმე. საზოგადო ბრალმდებელმა ლენსმანმა თავის დასკვნაში დაუმტკიცებლათ სცნო, რომ გერცენშტეინის მკვლელობა მოხდა შეთქმულობის ნიადაგზე. მკვლელობა ჩაიდინეს „რუსთა კავშირის“ წევრებმა. ლარიჩკინს ლენსმანი ბრალს სდებს, რომ მან ხელი შეუწყო მკვლელებს, ხოლო იუსკევიჩ-კრასოვსკიმ მოაწყო მკვლელობა. დუბროვინის შესახებ ლენსმანი საჭიროთ სცნობს შესწყვიტოს გამოძიება, სანამ ის სასამართლოს წინაშე არ გამოცხადებულა, თუმცა სასამართლოს საბუთები აქვს დუბროვინის დატუსაღების. ანდრონიკოვი ვრცლათ შეეხო საქმეს. ლარიჩკინის შესახებ ის დაეთანხმა ბრალმდებელის დასკვნას. იუსკევიჩის და დუბროვინის შესახებ ანდრონიკოვმა დაამტკიცა, რომ პირველი, როგორც მებრძოლ რაზმის წინამძღოლი, აძლევდა საჭირო მასალებს მკვლელებს და ხელმძღვანელობდა საქმე, ხოლო მეორე, როგორც კავშირის თავმჯდომარე, ხელს უწყობდა მკვლელებს და ზომებს ღებულობდა მის დასაფარავათ. კრასოვსკის დამცველმა ნიკიტინმა წაიკითხა დეპეშის პირი, რომელიც მან იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებს, რომ სასამართლოს სხდომის დროს ანდრონიკოვმა მას „პადლეცი“ უწოდა და მიაქცევს მინისტრის ყურადღებას ვებერის მიერ მოწმეების მოსყიდვის ფაქტს. როგორც დამცველი, ნიკიტინი, ხვალ წარადგენს წერილობით ბრალდებას. კრასკოვსკი აცხადებს, რომ ანდრონიკოვმა დაამახინჯა მისი ჩვენება, მან აგრეთვე უსამართლოთ სცნო ლენსმანის დასკვნა და იმედი განაცხადა, რომ ფინლიანდიის მოსამართლეები დარწმუნდებიან, რომ „კავშირის“, დუბროვინის და მის წინააღმდეგ ბრალდება უსაბუთოა.

**ბაქო.** ვილაც ობესგაუზის ბინაზე აღმოაჩინეს ფიტილიანი სამი ყუმბარა, ორი ცარიელი. დამნაშავე დაიჭირეს.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ნიჟეგოროდის მაზრაში თერთმეტმა შეიარაღებულმა ბოროტ-მოქმედმა გაძარცვა მემამულე პეტროვი, წაართვეს 300 მანეთი. სროლის დროს დაიჭრა პეტროვი.

**ეკატერინოდარი.** არმავირიდან მაიკოპში მიმავალ ფოსტიდან მოიპარეს 14 ათასი მანათი.

**პეტერბურგი.** გაზეთ „როსია“-ში მოთავსებულია მეთაური წერილი ხელმწიფის იტალიაში მისვლის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებაშიო.

**კიუვენეპე.** კრასკოვსკიმ მოწინააღმდეგე მხრის მოწმეების შესახებ განაცხადა, რომ ისინი მხოლოდ მის წინააღმდეგ ბრიან ამხედრებულნი და დუბროვინის სასამართლოში გამოცხადება მხოლოდ პოლიტიკურ სკანდალისთვის სჭირიათო. სასამართლო შეუდგა მოწმეების შეკითხვას. წაიკითხეს კომისაროვის დღიური. იქ სწერია, რომ გერცენშტეინის მოკვლისთვის მზადება იუსკევიჩის ბინაზე მოხდა. იუსკევიჩმა კატეგორიულათ უარყო ეს. პეტროვმა კაზანცევის შესახებ განაცხადა, რომ ის კავშირის წევრი იყო, თუმცა თავი მაქსიმალისტათ მოქონდა. დღეს შეეკითხებიან ათ მოწმეს. საქმე გათავდება.

**პეტერბურგი.** გაზეთი „როსია“ დიდის ამბით ეგებება საკანონმდებლო დაწესებულებების გახსნას და იმედს აცხადებს, რომ ის ფრიად სერიოზული და მნიშვნელოვანი იქნება. გაზეთი ფიქრობს, რომ დუმის უმრავლესობა არ უღალატებს თავის წინანდელ პრინციპებს.

**კიუვენეპე.** გუშინ და დღეს დაკითხულ მოწმეებიდან იაკოვლევმა უარყო პრუსაკოვის ჩვენება. მიხაილოვმა, თავის წერილის გამო გაზეთ „რეჩ“-ში, რომ ბევრ რამეს გამოამჟღავნებდა, განაცხადა, რომ წერილი გორნოსტაევის და შარკევიჩის ზეგავლენით დასწერა. ეხლა ფიცის ქვეშ უარყო მისი შინაარსი. ხუთმა მოწმემ აჩვენა, რომ ვებერს უნდოდა მოწმეების მოსყიდვა და ზოგი კიდევაც მოისყიდა. შეკითხვის დროს ვექილები ანდრონიკაშვილი და ნიკიტინი ერთმა-

ნეთს მკაცრათ გაეკამათენ.

**იაკუტსკი**. დაბრუნდა ყინულის ზღვის ნაპირების გამომკვლევი ექსპედიცია. აღმოაჩინეს მრავალი ახალი ნავთსაყუდლები.

**ტაშკენტი**. გაიხსნა სოფლის მეურნეთა სიეზდი.

**ხოლმი**. ერობამ გადასწყვიტა ცხრა წლის განმავლობაში შემოიღოს საყოველთაო სწავლა. გადასდო 3000 მანეთი. გადასწყვიტეს აგრეთვე გახსნან რეალური სასწავლებელი, მოიწვიონ აგრონომი, გააკეთონ საცდელი მინდორი სამი მეტეოროლოგიური სადგური და გამართონ ტელეფონი.

**ვარშავა**. სამოსამართლო პალატამ პროკურორის პროტესტის გამო მოისმინა გმინის და ლავნიკების საქმე, რომელთაც პლოცკის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმის წარმოებაში თავის ნებით პოლონურ ენის ხმარების გამო საყვედური გამოეცხადა. პალატამ ერთ მოსამართლეს და 23 ლავნიკს გადაუწყვიტა ოთხი თვით დატუსაღება ხოლო 12 მოსამართლეს და 6 ლავნიკს სამსახურიდან დათხოვნა.

**ნიკოლაევი**. სამხედრო საოლქო სასამართლომ შნეიდეროვიჩზე თავდასხმის გამო ექვსს გადაუწყვიტა (?): ორს ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ერთს სატუსაღო, ხოლო შვიდი გაამართლა. ორი სიკვდილით დასასჯელის შესახებ სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა.

**ეკატერინოსლავი**. სადგურ ლევკის ახლოს მატარებელში გაძარცვეს მეარტელე. წაართვეს 10,000 მანეთი.

**ხარბინი**. ათ ოქტომბერს მოვიდა ფინანსთა მინისტრი.

**პლოცკი**. ნამდვილი ზაფხულის დღეებია. წაბლი და ია ყვავის. ბაზარზე ახალი მარწყვი გამოიტანეს გასაყიდათ.

**პავლოგრადი**. საერობო კრებამ გადასწყვიტა შემოიღონ პირველდაწყებითი სკოლებში ფიზიკური და სამხედრო ვარჯიშობის სწავლება, გახსნან ქსოვის სკოლა და იშუამდგომლონ საოსტატო სემინარიის გახსნა.

**რიგა**. მოვიდა გზათა მინისტრი.

**პეტერბურგი**. **სახელმწიფო საბჭო**. სადღესასწაულო პარაკლისის გადახდის შემდეგ სახელმწიფო საბჭომ განაახლა მუშაობა. სხდომას დაესწრენ პეტერბურგში მყოფი მინისტრები სტატს-სეკრეტარ სტოლიპინის მეთაურობით. სხდომის გახსნისას აკიმოვმა წინადადება შეიტანა გამოუცხადონ ხელმწიფეს უქვეშევრდომილესი გრძნობები. საბჭომ ერთხმათ დასძახა: „გაუმარჯოს მის იმპერატორობითი უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორ ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძეს" და სამჯერ ურა იგრიალეს.

## კიდევ ერთი ნაბიჯი

—

ენკენისთვის პირველი ნახევარი, ახალის სტილით, სამართლიანათ ჩაითვლება აღმოსავლეთ ევროპის შეგნებულ პროლეტარიატის სასესიო ხანათ. თითქმის ერთ და იმავე დროს მოხდა ლეიპციგის პარტეიტაგი, ერთის მხრით, და ავსტრიელ ჩეხთა და გერმანელთა პარტეიტაგები, მეორეს მხრით. მუშათა სოციალისტურ მოძრაობის მხრივ გერმანიის შემდეგ პირველი ალაგი უეჭველათ ავსტრიას უჭირავს, და ისიც არა მთელს ავსტრიას, არამედ იმ არე-მარეთ, სადაც ჩეხები და გერმანელნი არიან დაბინადრებულნი. ამ მხრივ პირდაპირ გასაცვიფრებელია და თანაც ფრიად საგულისხმო ჩეხთა სოციალ-დემოკრატიის ზრდა-განვითარება. მისი დასაწყისი ძლივს გასცილდება ოც წელს და მიუხედავათ ამისა, იგი გამხდარა უძლიერეს პოლიტიკურ პარტიათ მის სამშობლოში--ბოჰემიაში. მასში ითვლება ას ოც და ათი ათასი მუდმივი წევრი. უკანასკნელ ორ წელში მას შეუძენია ოცდაათი ათასი ახალი წევრი. იმავე დროის განმავლობაში მას გაუმართავს 57.108 საჯარო კრება! პერიოდულ ორგანოთა რიცხვი, თუ პოლიტიკურ და პროფესიონალურს ერთათ ავიღებთ, უდრიდა ჩეხურ ენაზე ოთხმოცს. თუ მივიღებთ სახეში, რომ ყველა ეს და ბევრი სხვაც კაპიტალიზმის განვითარების პირდაპირი შედეგია, მაშინ თავის თავათ ცხადია, რომ ავსტრიელ გერმანელთა სოციალდემოკრატია, რომელიც წარმოიშვა და მოქმედებს, ამ მხრივ გაცილებით უფრო დაწინაურებულ პირობებში, ჩეხებისაზე გაცილებით უფრო მძლავრია ყოველ მხრივ.- ამიტომ მეტია ციფრებით ამის მტკიცება.

ჩვენ ვფიქრობთ, რასაკვირველია, უბრალოთ გაკვრითაც შევეხოთ იმ დიდმნიშვნელოვან დებატებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩეხთა და გერმანელთა იმპოზანტურ პარტეიტაგებზე. ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოდ მივუთითოთ ამ პატარა წერილში იმ საყურადღებო ნაბიჯზე, რომელიც მათ გადასდგეს ნაციონალურ საკითხში. ავსტრიის ყველა ერთა სოციალდემოკრატიამ კარგა ხანია იგრძნო, რომ ნაციონალური საკითხი მარტო ბურჟუაზიის მონოპოლიას არ წარმოადგენს, რომ მის რაციონალურათ გადაწყვეტაში პირველ ყოვლისა დაინტერესებულია პროლეტარიატი. მაგრამ რაიმე საჭიროების გრძნობა და მისი შეგნება-განსაზღვრა ერთი და იგივე არაა. ასე მოხდა ავსტრიაშიც. სოციალდემოკრატიამ იგრძნო, როგორც ვთქვით, რომ ნაციონალური შუღლი და აურ-ზაური უშწვერვალესათ აფერხებდა ყველა რვა ერთა პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას და სახელმწიფოსაც კი უქადიდა განადგურებას, მაგრამ მან ვერ შესძლო დღემდე სისტემატიურ ტაქტიკის შემუშავება ამ მხრივ, რომ ეროვნული დევნა-შუღლი უნდა მოსპობილ იქნეს, ამაში არცა როდის არ ყოფილა ორი აზრი საზოგადოთ სოციალდემოკრატიაში, მაგრამ, როცა ისმება კითხვა როგორ და რა გზით, მაშინ ფრიად ძნელია არა მარტო შეთანხმება, არამედ თვით საგნის გააზრისებაც. სოციალდემოკრატიას არ შეუძლია უბრალო შაბლონური გადმოღება ბურჟუაზიის ეროვნულ პროგრამა-ტაქტიკისა, როგორც ამას ხშირათ თხოულობენ მისგან მოპირდაპირენი; იგი იძულებულია საკუთარი გზა გაიკვალოს ამ საკითხშიც, და ესკი, არც ისე ადვილია.

ავსტრიის ყველა ერთა სოციალდემოკრატიამაც სცადა პრაქტიკულათ წარმოედგინა მთელი კითხვა მისი სიგრძე-სიგანით და აქედან რაიმე კონკრეტიული დასკვნები გამოეყვანა. ეს მოხდა 1899 წელს ბრიუნის პარტეიტაგზე. იქ ჩვენ ვხედავთ აზრთა შეხლა-შემოხლას, მაგრამ უფრო პრინციპიალურ ნიადაგზე. ერთი ჯგუფი, ჯერ კიდევ გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმით შეპყრობილი, ალმაცერათ უყურებს თვით საკითხს, მას უკანაურათ და უალაგოთ მიაჩნია ეროვნული საკითხი სოციალდემოკრატიის პარტეიტაგზე,—ეს ხომ ბურჟუაზიის საქმეაო, - გაიძახის ის მწყრალათ. აი, ამ მიდრეკილების წინააღმდეგ იყო მიმართული ბრიუნში თითქმის ყველა საყურადღებო სიტყვები. ხოლო, რაც შეეხება პარტიის პრაქტიკულ პროგრამას, ამ მხრივ ბევრი რამ დარჩა გამოურკვეველი. მისასწრაფავ მიზნათ დასახულ იქნა ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, მაგრამ მისი ნამდვილი შინაარსი და სივრცე არც მაშინ და არც დღეს არიან დაახლოვებითაც განსაზღვრული.

მაგრამ ეს იყო პირველი ნაბიჯი და თანაც დიდათ სასარგებლო. პარტიამ ნათლათ გამოარკვია თავის პრინციპიალური პოზიცია. მან აღიარა ეროვნული მოწესრიგება თვით პროლეტარიატის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეთ. და იმავე დროს მან მიუთითა ერთ-ერთ პრაქტიკულ საშვალებაზე, თუმცა ზოგადათ და სხარტათ.

და მეორე ნაბიჯი გადადგმულ იქნა წრეულს, როცა ბურჟუაზიულ პარტიათა ნაციონალისტური „ვინ-ხარ მამაცობა" ხელ-ახლავ უქადის ჰაბსბურგთა მონარქიას დეზორგანიზაციას. ინიციატივა ამ მხრივ ეკუთვნის ჩეხთა პარტეიტაგს და ეს არცაა გასაკვირი. ეროვნულ უსამართლობაზე მსჯელობა უწინარეს ყოვლისა იმ ერის სოციალ-დემოკრატიას ეხერხება, რომელიც თვითონ პირადათ განიცდის მის ცუდ შედეგებს. პარტეიტაგს მოხსენდა ვრცელი და შინაარსიანი რეფერატი ამ საგანზე და მას თან მოჰყვა იგეთივე დებატები. არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე გეგმა, არც რამე ცალკე მოთხოვნა მიუღიათ. და ეს იმიტომ, რომ ჩეხებს ერთ წუთსაც არ დავიწყნიათ მათი მოვალეობა ავსტრიის სხვა ერთა სოციალ-დემოკრატიის წინაშე. მათ კარგათ ესმოდათ, რომ სოციალდემოკრატიას შეუძლია და მოვალეცაა გამოვიდეს ინტერნაციონალიზმის პრინციპიდან, რომელიც თვით იგულისხმებს ცალკე ნაციის გაფურჩქვნა-აყვავებას. მათ დაადგინეს ამიტომ, მიმართოს მათმა ც. კომიტეტმა ყველა დანარჩენ ერთა ს. დ. ც. კომიტეტებს წინადადებით, რომ ბრიუნის ნაციონალური პროგრამა ისე იქნეს „გავრცელებული და კონკრეტიულათ შემუშავებული", რომ მას შეეძლოს მომავალში ქვაკუთხედათ დაედოს არა მარტო იდეურ თანხმობას ყველა ერთა ს. დ. პარტიებ შორის, არამედ მათ „ერთგვარ პოლიტიკურ პრაქტიკასაც". სწორეთ მსგავსი დადგენილება მიიღო ავსტრიელ გერმანელთა ს. დ. პარტეიტაგმაც.

ჩვენ, ქართველები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვექცეთ ამ ამბავს. ავსტრიის სოციალდემოკრატია ჩქარა მომავალში შეიმუშავებს მის შესაფერ ვრცელ და კონკრეტიულ პროგრამას ეროვნულ კითხვაზე, და უეჭველია, ეს პროცესი ჩვენც დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ერთი კი არ უნდა დაგვავიწყდეს მხოლოდ: ეს ის, რომ ბეცი და უგუნური იყვნენ ჩვენი მოპირდაპირენი, როცა ისინი წამდაუწუმ თვალში გვაჩხერდნენ ავსტრიელთა ს. დ. ეროვნულ პროგრამას, როცა იგი თვით მის ავტორთათვის არ იყო განსაზღვრული და დასრულებული. მასთან, ეროვნული საკითხი არ არის ჩვენთვის კონკრეტიულათ გადაწყვეტილი, ჩვენ არა გვაქვს სათანადო ნათელი პროგრამა და ეგ სულაც არ უნდა იყოს ჩვენთვის სამარცხვინო ან დასაძრახისი. ქართველთა სოციალდემოკრატია დატით ავსტრიელზე უფრო ახალგაზდაა და სუსტი, მას არ ქონდა შემთხვევა ეროვნულ პროგრამის გადმოსწერათ ბარიზში გამოჯგიმულიყო, აი რა ავიწყდებათ მოკეთეთ.

მაგრამ არის კიდევ საყურადღებო რამ. ავსტრიაში ჩეხთა, გერმანელთა, პოლონელთა და სხვა ერთა სოციალდემოკრატია ცალკე და დამოუკიდებლათ კი არ არდგენს ეროვნულ პროგრამას, არამედ ერთად, ყველა ერთა ს.-დ. პარტეიტაგზე. ასე იყო ბრიუნში, ასე უნდა იქნეს ჩქარა მომავალშიც, როგორც ზევით დავინახეთ. არც ეს მოეწონებათ ჩვენს მოპირდაპირეთ, მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ავსტრიელ სოციალდემოკრატების „მამულის-შვილობის" ჩვენ „მამულის-ორგულობასთან" დაპირდაპირება დიდი სირეგვნეა, თუ მეტი არა.

**ერთი ვინმე**

## საგუბერნიო თათბირი ერობის შესახებ.

**მეხუთე სხდომა, 10 ოქტომბერი.**

კრება გაიხსნა 8 ს. და 10 წ. თავმჯდომარეობს ბ. ლოზინო-ლოზინსკი. დღის წეს-რიგში შეტანილია საკითხი შესახებ იმისა, შედის თუ არა ქ. თფილისი სამაზრო ერობაში. მომხსენებლებია გ. ბ. გვაზავა და ა. ხატისოვი.

**გ. გვაზავა**. როგორც მოგეხსენებათ დღეს უნდა განვიხილოთ საკითხი: შესაძლებელია თუ არა, რომ ქალაქები, განსაკუთრებით თფილისი გამოიყონ სამაზრო ერობებიდან. ამ შემთხვევაში საკმარისია გავარკვიოთ ქალაქისა და სოფლის დამოკიდებულება. რა გვარი ეკონომიური ურთიერთობა არსებობს მათ შორის. მაშინ ადვილი იქნება კითხვის გადაჭრა. ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენს დროში ქალაქი წარმოადგენს კულტურულ ეკონომიურ ცენტრს საზოგადოებისას. ნამეტურ ეს ითქმის დედა ქალაქებზე, როგორიც არის თფილისი. ყველაფერი ქალაქისაკენ ეშურება. იქითკენ მიილტვიან ადამიანები, სანოვაგე და ყოველგვარი ნივთეულობა, რომელთაც რაიმე ფასი და ღირებულება აქვთ. ქალაქი ამით სარგებლობს და სოფლის ხარჯზე მდიდრდება. ყველაფერი ხელს უწყობს მის ზრდა-განვითარებას. არსებული საერობო დარაჯები, რომლის შესანახათ საერობო ბიუჯეტის თითქმის ნახევარი იხარჯება, ქალაქის ინტერესებს ემსახურება. ეს დარაჯები იცავენ იმ გზებს, რომლებიც სოფელს ქალაქთან აერთებს და რომლებზედაც სწარმოებს საქონლის მიმოსვლა. ასეთი უპირატესობა აქვს ქალაქს სოფელთან შედარებით ამ უკანასკნელის ხარჯზე და მოიძებნებიან ისეთი პირები, რომლებიც მოითხოვენ თფილისის სამაზრო ერობიდან გამოყოფას. რით ასაბუთებენ ისინი ამის საჭიროებას? ამბობენ, ქალაქში ბევრია მცხოვრებლებიო, მეტი, ვიდრე მაზრაშიო, მაგრამ ეს ხომ საბუთი არ არის. ისინი ამბობენ: ქალაქს საერობო შემოსავალი უფრო მეტი აქვს, ვიდრე მაზრას და თუ ქალაქი მაზრაში დარჩა, იმ შემთხვევაში მთელი შემოსავალი მაზრას უნდა მისცეს, ეს კი უსამართლობა იქნებაო. თვითონ ქალაქი ვერაფერს მოიხმარს თავის შემოსავლიდანო. ვნახოთ, რამდენათ საფუძვლიანია ასეთი მოსაზრებები. პირველი საბუთი—თფილისში მეტია მცხოვრებლები, ვიდრე სოფელშიო, არაფერს არ ამტკიცებს. განა უფლება შეიძლება კაცმა რიცხვითი უმრავლესობით დაასაბუთოს?. უფლება ყველას ერთნაირი აქვს, ერთი იქნება ის, ხუთი, თუ კიდევ მეტი. მაგალითად, თავის დაცვის დროს სრულიად მნიშვნელობა არა აქვს ერთი იქნება კაცი თუ ბევრი. ყველას ერთნაირი უფლება აქვს თავის დაცვისა. ქურდს, რომელსაც ხაზინის გაძარცვა სურს და ამისთვის მიიწვევს დამხმარეებს, განა უფლება ემატება? სრულიადაც არა. ამითი დასაბუთება ქ. თფილისის სამაზრო ერობიდან გამოყოფისა შეუძლებელია. თუ თფილისს მივეცით გამოყოფის უფლება, მაშინ ყველა საერობო ერთეულს შეეძლება გამოყოფა და ამით საერობო პრინციპს ძირს დავსცემთ. ამბობენ, თითქო ქალაქები მეტს იხდიან, ვიდრე სარგებლობას პოულობენო. მაგ. ქ. სარატოვი იხდის საერობო გადასახადს და სარგებლობა კი მარტო ხუთი ათასი მანეთის აქვს. რითი აიხსნება ასეთი გარემოება? მარტო იმითი, რომ სამაზრო ერობა ქალაქის მიდამოებზე, როგორიც არის ავლაბარი, ნაძალადევი და სხვა, ხარჯავს მთელს თავის შემოსავალს და არა თვით ქალაქზე. სწორეთ ამიტომ არის, რომ ქ. სარატოვს, ქალაქის წრეში მომწყვდეულს, მეტი არ ერგო. როგორც ხედავთ, აქაც ქალაქი მოგებაშია. ამ საკითხში ჩვენ სახელმწიფოს ინტერესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომელიც არსებულ ნივთიერ უსწორ-მასწორობის გაუქმებაში მდგომარეობს. სოციალური სამართლიანობა მოითხოვს ამას. დღეს ჩვენ ვხედავთ ლტოლვილებას გადასახადის შემოსავლის დაგვარათ შემოღებისაკენ, და არა თუ ამას, არამედ იმასაც, რომ გადასახადი პროგრესიულათ იზრდებოდეს შემოსავლის დაგვარათ. მაშასადამე, ქალაქი, როგორც უფრო მდიდარი, უფრო მეტსაც უნდა იხდიდეს. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ასეთი მდგომარეობით და გალატაკებული ხალხის სასარგებლოთ თფილისს მეტი გადავახდევინოთ. ამით შესაძლებელი იქნება არსებულ კლასთა ბრძოლის ჩაქრობა.

გარდა ამისა, რას ნიშნავს გამოყოფა იურიდიულის თვალსაზრისით? მე შემიძლია გამოვეყო სახელმწიფოს და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომობა მივიღო, მაგრამ სანამ ამას ვიზამდე, მე უნდა შევასრულო ყველა ჩემი ვალდებულება. შემდეგ თავისუფალი ვიქნები. ესევეა ამ შემთხვევაში. როგორც წელან მოგახსენეთ, ქალაქი ვალდებულია სოფლის წინაშე, მას სოფლის ვალი მართებს. და თუ თფილისს გამოყოფვა უნდა, პირველათ ვალი უნდა გადაიხადოს. რუსეთში 45 წელიწადია არსებობს ერობა. ამ ხნის განმავლობაში ქალაქები ყოველთვის მეტს აძლევდნენ მაზრას, მიუხედავათ ამისა ქალაქის ერობიდან გამოყოფის მომხრეები უფლებას აძლევდნენ ქალაქებს გამოყოფისას, მხოლოდ არა ერთბაშათ, არამედ თანდათან, 10—15 წლისგანმავლობაში. ასე თუ იქნება, მაშინ თფილისსაც შეეძლება გამოყოფა ცალკე ერთეულათ. ჯერ-ჯერობით კი, როცა ირგვლივ გლეხობა დამშეულია, უსამართლობა იქნება მას ლუკმა-პური წავართვათ.

**ა. ხატისოვი**. ამ კითხვის განხილვის დროს ჩვენ არ უნდა ვისარგებლოთ იმ თვალსაზრისით, რომელსაც დაადგა ბ. გვაზავა. ჩვენ სრულიად ობიექტიურათ და სამართლიანათ უნდა შევხედოთ საგანს და ისე გადავჭრათ საქმე, როგორც ამას საღი გონება მოითხოვს. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ქალაქს საერობო შენობაში, ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენში, კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიაც. ეს კითხვა დაიბადა რუსეთში საერობო რეფორმების შემოღებისთანავე. ე. ი. 1864 წლიდან და მას აქეთ მასზე თათბირი ქონდათ სხვადასხვა ერობებს. შარშან მოხდა პეტერბურგში ქალაქის და საერობო მოღვაწეთა სიეზდი ამ კითხვის გასარჩევათ. აქედან აშკარაა, რამდენათ არსებითი და დიდ-მნიშვნელოვანია ის. და გასაკვირიც არ არის, თუ მას ორნაირათ სჭირიან. ერთნი მომხრენი არიან ქალაქების სამაზრო ერობებიდან გამოყოფისა, ხოლო მეორენი წინააღმდეგი. მეც მომხრე ვარ ქალაქის სამაზრო ერობიდან გამოყოფისა და მისი საგუბერნიო ერობაში დატოვებისა. რითი ხელმძღვანელობენ პირველნი კითხვის ასეთნაირათ გადაწყვეტის დროს? ისინი ამბობენ, რომ თანამედროვე ქალაქები ჩქარის ნაბიჯით ვითარდებიან, მდიდრდებიან და ამ რიგათ, ისინი კულტურულ-ეკონომიურ ცენტრებათ ხდებიან. ისინი საუკეთესო ბაზარს წარმოადგენენ სხვადასხვა ღირებულებათათვის. ქალაქის ეს ზრდა-განვითარება, რასაკვირველია, სოფლის ხარჯზედაც ხდება. ასეთია საბედისწერო გზა ქალაქების განვითარებისა არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი ევროპისათვის. და ეს იმიტომ, რომ ყველგან გამეფებულია ეგრეთ წოდებული კაპიტალისტური წესი წარმოებისა. ამ გზას იგი ვერ ასცდება, რაგინდ ვეცადოთ. ბუნებრივ ქალაქების ასეთი ზრდა-განვითარება პირველ ყოვლისა მაჩვენებელია საზოგადოების განვითარების, მისი ცივილიზაციის სიმაღლის. ვაი იმ სახელმწიფოს, სადაც ქალაქს განვითარება შეჩერდება. ინგლისი, როგორც ყველაზე უფრო მდიდარი და კულტურული ქვეყანა, საუკეთესო მაგალითია ზემოხსენებული აზრისა. იქ ქალაქებში სცხოვრობს 72% მთელის მცხოვრებლებისა და 28% კი სოფლათ. რუსეთში კი მხოლოდ 12% სცხოვრობს ქალაქებში. მაგრამ განვითარების გზა აქაც იგივეა, რაც ინგლისში. რა ასაზრდოებს ქალაქს და რა უწყობს ხელს მის გამდიდრება-განვითარებას. ქალაქი ღრუბელივით იზიდავს ირგვლივ მდებარე მხარის სიმდიდრეს. რკინის გზები, რომლითაც ქალაქები შეერთებულია სხვა კუთხეებთან საუკეთესო მაჩვენებელია ამისა, ქალაქის გავლენა მის გარშემო არსებული ვიწრო ფარგლით არ განისაზღვრება. და სწორეთ ამიტომ არის საჭირო მისი სამაზრო ერობიდან, როგორც უახლოესი წრიდან, გამოყოფა.

მაშასადამე, მან უნდა გაიღოს გადასახადი უფრო დიდი რაიონისათვის, ვიდრე მაზრაა. ჩემის აზრით ქალაქი საგუბერნიო ერობაში უნდა შედიოდეს. მეორე მოსაზრება ქალაქის სამაზრო ერობიდან გამოყოფის სასარგებლოთ ეკონომიურ-ფინანსიურ მხარეში მდგომარეობს. ამ მხრით საგულისხმოა, რომ ქალაქები, როგორც საერობო გადასახადების გამომღები ერთეულები, ბევრ გადასახადს აძლევენ მაზრებს და თითონ კი შესაფერ ღირებულებას ვერ ღებულობენ. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანო ხარკოვი, რომელიც 1897 წელს აძლევდა სამაზრო ერობას 70,000 მან. და 2 ნახევარ ათასი მანეთის სარგებლობა ქონდა. ასევე მდგომარეობაშია ნიჟნი-ნოვგოროდი, რომელიც ერობას 1907 წელს 165,000 მან. აძლევდა, ხოლო სამაგიეროთ, 5 ათასი მანეთის სარგებლობა ნახა. მაშასადამე, მომაკვდინებელი ცოდვა და უსამართლობა იქნება ქალაქები სამაზრო ერობას ჩავუგდოთ ხელში. ასეთ აზრს დაადგნენ რუსეთის დიდი ქალაქები: კიევი, ოდესა, ვარშავა და სხვ. ქ. პეტერბურგი, მოსკოვი, კრონშტადტი და უკანასკნელ დროს ოდესა უკვე გამოყოფილი არიან სამაზრო ერობიდან და ცალკე საერობო ერთეულს წარმოადგენენ. ქალაქების სამაზრო ერობებიდან გამოყოფას სურვილი გამოსთქვა 54 ქალაქმა. ამავე აზრს დაადგა შარშან პეტერბურგში მომხდარი თათბირი. მისი დადგენილება გადაეცა ადგილობრივ მეურნეობის გამგე საბჭოს, რომელმაც საჭიროთ დაინახა მიეცეს უფლება ქალაქებს 75,000 მცხოვრებით სამაზრო ერობიდან გამოყოფის, ხოლო საგუბერნიო ერობიდან 300,000 მცხოვრებთა ქალაქებს, მაშასადამე, თფილისს შეუძლია გამოეყოს სამაზრო ერობას. ასეთია პრინციპიალური მოსაზრებები დიდი ქალაქების ერობებიდან გამოყოფის სასარგებლოთ. დღევანდელი ვითარება კი ისეთია, რომ პრაქტიკულ მოსაზრებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. 1890 წლის საარჩევნო კანონი სამაზრო ერობაში უპირატესობას მსხვილ მიწათმფლობელობას აძლევს. ასეთ ერობების ხელში ჩავდება ქალაქისა საშიშია. ამბობენ, ქალაქი მდიდარია და ღარიბის სასარგებლოთ უნდა გადასახადი გაიღოს. ეს მოსაზრება ყალბია. მართლაც, ვინ ცხოვრობს ქალაქში? უმრავლესობას მუშა ხალხი შეადგენს, მაშასადამე, მათ თავისი თვით-

მართველობა უნდა ჰქონდეთ. განა იმათზე უფრო ღარიბი და უმწეო კიდევ მოიძებნება ვინმე? გარდა მაგისა, თუ საყოველთაო საარჩევნო უფლება იქნა შემოღებული, ქალაქი სრულებით გააქარწყლებს გლეხების წარმომადგენლობას ერობაში. თფილისში 280,000 მცხ. ხოლო მაზრაში კი 80,000 ამ მხრითაც საჭიროა ქალაქის ერობიდან გამოყოფა.

**აბხაზი** მომხრეა ქალაქის სამაზრო ერობაში დატოვების. მას ახალი მოსაზრება არ მოყავს.

**ა. ქალანთარი.** ჩვენ რომ ეხლა წვრილი საერობო ერთეულები და საგუბერნიო ერობები გვქონდეს, ქალაქებსაც თავისი საერობო თვითმართველობა ექნებათ. მაშინ ისინი წვრილ საერობო ერთეულებს წარმოადგენენ. მაშინ საერობო გადასახადის ნაწილს ქალაქი თითონ მოიხმარდა, ნაწილს კი საგუბერნიო ერობას მისცემდა, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ შემოვიღოთ სამ სართულიანი ერობა. ამ შემთხვევაში ქალაქმა მაზრასაც და გუბერნიასაც უნდა აძლიოს. და რადგან ქალაქი უფრო დიდი რაიონის სამსახურით სარგებლობს, უნდა გამოყოფილ იქნას სამაზრო ერობიდან და თავისი საერობო ბიუჯეტიდან აძლიოს მაზრას იმდენი, რამდენსაც თითონ მაზრა აძლევს საგუბერნიო ერობას.

**ბ. გვაზავა.** პეტერბურგის, მოსკოვის და ოდესის ერობიდან გამოყოფა გასაკვირი არ არის. სულ სხვაა თფილისი, ის უსამართლოთ სარგებლობს ირგვლივ მდებარე ადგილებით და მათ გამოსწოვა მთელი სიმდიდრე. ამიტომ საჭიროა საზღვარი დაედვას ასეთ გარემოებას. მისი განვითარება განსაზღვრულ ფარგლებში უნდა მოემწყვდიოს. ჩვენი დადგენილების შემდეგ თფილისი წვრილი ერთეული იქნება, მაგრამ მაინც მაზრაში უნდა დარჩეს.

**მეგრაბიანი.** (გლეხი) ქალაქებში ჩვენი შვილებია, რომლებიც გამდიდრდენ და ჩვენ დაგვივიწყეს. ისინი იხდიან აქ გადასახადს. ამიტომ მათ უნდა შეეწიონ სოფელს. სამაზრო ქალაქმა მაზრას, ხოლო საგუბერნიომ გუბერნიას.

**თ-დ გურამოვი.** თფილისი დიდი ხანია პარაზიტს წარმოადგენს კავკასიის ტანზე. ის ყველაფრით სარგებლობს და ყველაფრიდან მოგებას იღებს. როცა ვინმე მოსული კვდება, მაშინაც კი მოგებაშია კუბოს ფულზე.

**თავმჯდომარე.** აუდიტორია ზარმაცათ გისმენთ თქვენ, რადგან კითხვას გადასცდით. **გურამოვი.** მე ვგრძნობ ამას.

**ხატისოვი.** გურამოვის ლოღიკას თუ გავყვებით ჩვენ სიმართლეს ვერ გამოვარკვევთ. ეს ბავშური შეხედულებაა საგანზე და მეტი არაფერი.

**გულიშვილი.** (აჯქალელი გლეხი). თფილისის გამოყოფა მაზრიდან შეუძლებელია. მაშინ ყველა ირგვლივ მდებარე სოფლები მოკლებული იქნებიან ქალაქში არსებულ საავათმყოფოებით და შკოლებით სარგებლობას.

**დ. გონაშვილი.** ქალაქსა და სოფლის შუა არსებობს ერთგვარი ურთიერთობა. ამათ ურთმანერთოთ არსებობა არ შეუძლიათ. წინეთ გაიძახოდენ: გლეხები უკულტურონი არიანო და წვრილი ერთეული მათთვის უსარგებლო იქნებაო, ეხლა გაიძახიან: ქალაქიც გლეხებს მიეციოთ. თფილისი: მთელი მხარის ცენტრია და ამიტომ ის გამოყოფილ უნდა იქნას სამაზრო ერობიდან.

გულისაშვილი, ჯაბადარი და ვერმიშევი მომხრენი არიან ქალაქის სამაზრო ერობიდან გამოყოფისა.

**მ. გედევანოვი.** ეს საკითხი ჩემის აზრით პრინციპიალურია. მის გარშემო ატეხილია დავა სხვადასხვა მიმართულებათა. ქალაქის მოღვაწეები მიილტვიან თავისკენ და გარბიან ერობიდან, ხოლო საერობო მოღვაწეები საჭიროთ სთვლიან ქალაქი ერობაში დარჩეს და მას ხარჯი აძლიოს, რადგან ერობები ქალაქებს დიდ სამსახურს უწევენ. ქალაქები სარგებლობენ გზებით, იაფი საქონლით, ჯანმრთელი მუშა ხალხით. ყველა ამისათვის მათ უნდა გაიღონ ერობის სასარგებლოთ გადასახადი და ერობაში უნდა დარჩენ.

თავმჯდომარე კენჭს უყრის კითხვას: დარჩეს თუ არა ქალაქი სამაზრო ერობაში—36 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 18 ქალაქი სამაზრო ერობაში რჩება.

იბადება ახალი კითხვაც: რა უყოთ იმ სამოქალაქო დაწესებულებათ, რომელნიც თფილისშია მოთავსებული მაგ., საბებიო ინსტიტუტი, მიხეილის საავათმყოფო და სხვა. გუბერნატორის წინადადებით მათი შენახვა დაევალა საგუბერნიო ერობებს თავიანთი ბიუჯეტიდან ნაწილის გამოღებით, შემდეგ კი ამ საკითხს საგუბერნიო ერობათა სიეზდი გადაწყვეტს. კრება დაიხურა.

—

**მეექვსე სხდომაზე** თათბირმა განიხილა კითხვა საარჩევნო სისტემის შესახებ. თათბირმა გლეხების წარმომადგენლების ხმით უარყო კურიალური არჩევნები წვრილ საერობო ერთეულებში და მიიღო რეზოლიუცია, რომლის თანახმათ არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა, ვინც იხდის რაიმე საერობო გადასახადს, ან და აქვს უძრავი ქონება, თუ გინდ ეს ქონება განთავისუფლებული იყოს გადასახადისაგან. სიტყვა ეძლევა ბ. ფ. გოგიჩაიშვილს მოხსენებისათვის. მისი მოხსენება მიმართულია განსაკუთრებით იმ ყალბი და ტენდენციოზური აზრის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს, ვითომ კავკასია მეტი უჯდებოდეს მთავრობას, ვინემ ის იღებს. ამას ამტკიცებდა სხვათა შორის ამ თათბირზე ბ. დემენტიევი. ბ. გოგიჩაიშვილმა უტყუარი ციფრებით დაამტკიცა, რომ დემენტიევის და ძმათა მისთა ანგარიში ყალბია. მან დაწვრილებით ანგარიში წარუდგინა თათბირს იმის შესახებ, თუ რას იღებს მთავრობა კავკასიიდან და რას ხარჯავს. ამ ანგარიშიდან ნათლათ სჩანს, რომ მთავრობა იღებს კავკასიიდან წლიურათ—76 ნახევ. მილიონ მანეთს, ხოლო ხარჯავს ამავე კავკასიის საჭიროებაზე—55 მილიონს. ამ ხარჯს რომ დაუმატოთ თუ გინდ კიდევ ერთი ათეული მილიონიც, მაინც მთავრობას წლიურათ რჩება წმინდა შემოსავალი 14 მილიონი. თავის სერიოზულ მოხსენების დასასრულ მან სხვათა შორის სთქვა, რომ ყოველივე ეს გვაძლევს საბუთს და არამც თუ საბუთს, უფლებასაც, ვითხოვოთ კავკასია განთავისუფლებულ იქნას საერობო დარაჯების ხარჯებიდან და ის თანხა ერობის სხვა საჭიროებას მოხმარდესო. ამ ციფრების გაბათილებას შეეცადა სახ. პალატის თავმჯდომარე ოსტროვსკი, მაგრამ ამაოთ. თათბირმა ერთხმათ მადლობა გადაუხადა ბ. გოგიჩაიშვილს ამ მხსენებამ გამოიწვია თ. გურამოვის წინადადება: აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე განთავისუფლებულ იქნას ერობა საერობო დარაჯების შენახვისაგან. ერობა კისრულობს მხოლოდ ბინის, ცხენის საკვების (фуражъ) და „სუტოჩნიკ“ს ხარჯებს. წინადადება მიღებულ იქნა. ამავე სხდომაზე ბ. მდივანი შეეხო კითხვას—თუ რა პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ არჩევნებში, მაგრამ როგორც კი გადავიდა საყოველთაო არჩევნების საჭიროებაზე, თავმჯდომარემ ნება არ მისცა და ისიც დაემორჩილა თავმჯ. განკარგულებას. სამაზრო ერობაში საარჩევნო სისტემის მიღება გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

—

**მეშვიდე სხდომა.** მომხსენებელია თ. არღუთინსკი. მისი მოხსენება მოითხოვს, რომ ხმოსანთა რიცხვი სამაზრო ერობაში განისაზღვროს მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. 100,000 მცხოვრებზე—35 ხმოსანი, ზევით კი თითოეულ 100,000 ერთი ხმოსანი, მაგრამ ისე კი, რომ საერთო რიცხვი არ ასცილდეს—60. სხდომამ მიიღო არღუთინსკის წინადადება.

**ბ. გვაზავა** მოითხოვს, რომ არჩევნებს საფუძვლათ დაედვას სამი ივნისის კანონი. თუ ჩვენ უფრო რადიკალურ სისტემას მივიღებთ, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ არ ვართ მომზადებული და პეტერბურგშიც ასე ახსნიან ამას. ეს კანონი არც ისე უვარგისია. ეს კანონი ხალხს საშვალებას აძლევს ვინც უნდა აირჩიონ. თქვენ ხომ (მოუბრუნდება გლეხებს) ამ კანონით აირჩიეთ სამივე დუმაში სოციალდემოკრატები. მაშ, რაღას წუნობთ მას. ეს კანონი არ არის პოპულიარული იმიტომ კი არა, ვითომ ის უფლებას ართმევდეს ამრჩევლებს, არამედ იმიტომ, რომ ის, როგორც მემარცხენეები ამტკიცებენ, გამოცემულია არაკონსტიტუციონურათ. 3 ივნისის კანონი უზრუნველყოფს სოფლის ინტერესებს და იცავს სოფელს ქალაქის შექმისაგან. თუ თქვენ მიიღებთ არჩევნებს პროპორციონალურათ გადასახადისა, მაშინ იცოდეთ, რომ ქალაქი შეგჭამათ, რადგან მაშინ მათ მეტი ხმა ექნებათ.

**ოსტროვსკი** (სახ. პალ. თავმჯ.) ქალაქს აუცილებლათ ნაკლები ხმოსანი უნდა ყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქი სოფელზე გაბატონდება. ხოლო თუ რამდენათ ნაკლები იქნება—ეს თქვენი საქმეა.

**თ ჩოლოყაშვილი** უხსნის გლეხებს თუ რას ნიშნავს კურია და მოითხოვს მიღებულ იქნას 3 ივნისის კანონი.

**ხატისოვი** წინააღმდეგია კურიების და სხვათა შორის აღნიშნა, რომ თ. ჩოლოყაშვილმა არ სთქვა ის, რომ 3 ივნისის კანონი მონაწილეობის მიღების უფლებას აძლევს პირველ კურიაში ისეთ მესაკუთრეთ, რომელიც იხდის 30 მან. ბაჟს.

**ქალანთარი** მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას ერთი რომელიმე პრინციპი ყველა არჩევნებისთვის.

**თავმჯ. ლოზინო-ლოზინსკი** აცხადებს: კურიის მომხრე დილას მეტი იყო, ეხლა კი ნაკლებია, მარა დღეს რაღაც ყველანი არ არიან. ამიტომ ამ კითხვის გადაწყვეტა ხვალისთვის გადავდოთ. კენჭის ყრა გადაიდო.

**ხატისოვის** წინადადება: ქალებს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღონ თავის წარმომადგენლის საშვალებით, როგორც ეს დებატებშია შეცვლილ იქნას ასე: ქალებს უფლება ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა პირადათ. ხმის უმეტესობით წინადადება მიიღეს. გვაზავამ და მისმა თანამოაზრეებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. სიტყვა ეძლევა გ. თუმანოვს ერობის კომპეტენციის შესახებ მოხსენებისათვის, რის შემდეგ სხდომა დაიხურა.

---

## შთაბეჭდილებანი

### IV.

როგორც მოსალოდნელი იყო, საარჩევნო სისტემაზე კამათმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ბ. გვაზავა მოითხოვს, რომ არჩევნები მოეწყოს თანახმათ 3 ივნისის კანონისა და ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ეს კანონი არც თუ ისე უვარგისია, როგორც ეს გონიათ: ის იცავს ამ კანონს ვითომდა იმისათვის, რომ ეს კანონი აფართოვებს ხალხის უფლებას. და ამის დასამტკიცებლათ, სხვათა შორის, მოჰყავს ის ფაქტიც, რომ, სამივე დუმაში არჩეულ იქნა სოციალდემოკრატები, მაშასადამე, —დაასკვნის ის, თქვენ ვინც გინდათ მას აირჩევთ და თქვენს უფლებას არავითარი საფრთხე არ მოელისო.

რატომ ასე თავგამოდებით იცავს ბ. გვაზავა და კომპანია 3 ივნისის კანონს? განა იმისთვის, რომ ამით გლეხებს მართლა მეტი უფლება ეძლევა? სრულიადაც არა. გლეხების ფართო უფლებაზე ლაპარაკი—ეს მხოლოდ შირმაა, რომელიც გვაზავას და კომ. განზრახვას მალავს. ეს განზრახვა კი იმაში მდგომარეობს, რომ, რაც შეიძლება უფრო დაცულ იქნეს მემამულეების ინტერესები, რაც შეიძლება მეტი ხმოსანი ყავდეთ მათ ერობაში და ამრიგათ, ასეთი ხელოვნური საშუალებით მათ ბატონობა-უპირატესობა შეინარჩუნონ. 3 ივნისის კანონით, როგორც ვიცით, არჩევნები კურიალურია. თფილისის გუბერნიაში სახ. დუმის არჩევნების დროს იყო 55 არჩეული, ამათგან გლეხების—12, მოქალაქეების—14, მემამულეების კი—29. ამ რიგათ, თუ ეს სისტემა იქნა მიღებული, მემამულეებს ეყოლება 29 ხმოსანი საგუბერნიო ერობაში, ხოლო გლეხებს 12, მოქალაქეებს 14. რომც შეერთდენ მოქალაქენი და გლეხები, მაშინაც კი სამი ხმით ნაკლები ეყოლებათ, ასე რომ, ყოველივე კითხვა მემამულეების სასარგებლოთ იქნება გადაჭრილი. აი, სად არის ნამდვილი მოტივი გვაზავას მიერამ კანონის დაცვისა. მაგრამ ამის აშკარათ თქმა მათ არ ეხერხებათ, რადგან ეჭვი არაა, გლეხები მას მხარს არ დაუჭერენ, ხოლო, თუ გლეხებმა ხმა არ მისცეს, კითხვის გატანა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა თავის მიზნის კონტრაბანდათ გატარება, ისეთ მანტიაში გახვევა, რომ გლეხები არ დაფრთხენ, არ გაიგონ სინამდვილე და მით მემამულენი მშრალზე არ დასტოვონ, და თან, გლეხებსაც ისე მოაჩვენონ თავი თითქოს მათ ინტერესებს იცავენ. ერთი სიტყვით, როგორც რუსები იტყვიან: и капиталъ пріобрѣсти и невинность соблюсти. ამისთვის კი საჭიროა ერთგვარი »тонькая политика«. და აი, ისინი ენერგიულათ შეუდგენ ამ პოლიტიკის წარმოებას. პირველ ყოვლისა შეეცადენ დაეჯერებიათ გლეხები იმაში, რომ ქალაქი ყლაპავს სოფელს, რომ ქალაქის და სოფლის ინტერესები ერთიმეორეს ძირიათადათ ეწინააღმდეგება, საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ სოფელს მეტი ხმოსანი ყავდეს, რომ ყოველივე კითხვა სოფლელების სასარგებლოთ გადაწყდეს და სხვა. ქალაქის სოფლის ამგვარი დაპირდაპირებით გლეხების გული თითქოს კიდეც მოიგეს. თუ ვინ იქნება ეს სოფლის წარმომადგენელნი, რამდენი და როგორი არჩევნებით, ეს შემდეგის კითხვათაა დატოვებული. თავი და თავია გადაწყდეს, კითხვა, რომ სოფელს მეტი ხმოსანი ყავდეს, ვინემ ქალაქს.

ამის მტკიცებას, ვინ იცის, რამდენი დრო და რამდენი ენერგია არ შეალიეს. რა კი ეს კითხვა გადაწყდებოდა, შემდეგ თათბირს მათი აზრით უნდა მიეღო სამი ივნისის კანონი. ეს კანონი კი, როგორც ვიცით, უპირატესობას მემამულეებს აძლევს—(29 ხმოსანი). ამ რიგათ, ქალაქის სოფელზე დაპირდაპირებით გლეხების გული მოეგოთ და მათი ხმებით სამი ივნისის კანონი გაეყვანათ. დილის სხდომაზე ამას თითქმის კიდევაც მიაღწიეს, რაიცა გამოიხატა იმაში, რომ უმეტესობა კურიალური არჩევნების მომხრე იყო, მარა შემდეგ, ალბათ, გლეხები მიხვდენ, თუ რა მახეს უგებდენ მათ კითხვის ასე დასმით და საღამოს სხდომაზე კენჭის ჩამოტარების დროს აღმოჩნდა, რომ კურ. არჩევნებს უმცირესობა ემხრობა. მოიმიზეზეს რამდენიმე წევრის არ ყოფნა და კითხვა კენჭის საყრელათ შემდეგისთვის გადადვეს. საჭიროა გლეხების წარმომადგენლებმა ეს კარგათ გაითვალისწინონ და რამდენიც უნდა გადადვან კენჭისყრა, კურიალური არჩევნები უარყონ, რადგან ამ გვარი არჩევნები, დაფუძნებული 3 ივნისის კანონზე უპირატესობას აძლევს მემამულეებს, რომლის ინტერესები ძირიანათ ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბ. გვაზავამ ქალების ხმის მიცემის შესახებაც გაილაშქრა. „ქალების ხმის მიცემა ჩემზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს“-ო—განაცხადა მან, ხოლო როცა მისი და მისი მომხრეების წინააღმდეგ მაინც გავიდა ერთგვარი წინადადება, რომელიც ქალებს უფლებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ პირადათ, მან სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „ამ კითხვის მიღებით ჩვენ ვერ დავიჭირეთ პოლიტიკური ეგზამენიო“.

ამ „პოლიტიკური ეგზამენის“ დაჭერის ცდაში ბ. გვაზავა ისე შორს წავიდა, რომ საჯაროთ განაცხადა: „Либеральныя предложенія губятъ дѣло.“ თუ ლიბერალური წინადადება-მოთხოვნილებანი საქმეს ღუპავენ, მაშ, როგორი უნდა იყოს ეს წინადადებანი? იქნებ რევოლიუციონური? მარა ეს ხომ სულ დაღუპვა იქნებოდა საქმის მისი აზრით. მაშ, რომელი? ცხადია, რეაქციონური. და აი, ამ რეაქციონური წინადადების მიღება-გატანით ბ. გვაზავა და მისი მომხრეები, „ეროვნულ საქმეს“ აკეთებენ და სამშობლოს „ერთგულ დარაჯობას“ უწევენ!

გალიორკა.

---

## ახალი ამბები

—

**თფილისის ტრამვაი.** 10 ოქტომბერს თფილისის ტრამვაის დირექტორმა განცხადება გააკრა, რითაც წინადადებას აძლევს ყველა კონდუქტორ-ვატმანებს და მოძრაობაზე ყველა მომუშავეებს, რომ თუ უმთავრეს რწმუნებულ ლეპონის-მიერ შემუშავებულ ახალ პირობებში 12 ოქტომბრიდან არ იმუშავებთ, ანგარიშები მიიღეთ და მიბრძანდითო. მოსამსახურეებმა 11 ოქტომბერს განიხილეს დირექტორის განცხადება და დაადგინეს ერთხელ კიდევ მიმართონ თხოვნით ნაპესტნიკს, რათა დირექციის მიერ შემუშავებული ახალი პირობები ცოტათ თუ ზვერათ შესცვალონ მათ სასარგებლოთ.

✦ **ჩამოხრჩობა.** კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა: ქუთაისის გუბ. რაჭის მაზ. მცხოვრებს ივანე დარახველიძეს, სიღნაღის მაზ. გრიგოლ გოგინაშვილს, თფილისის მაზ. სოფ. საგარეჯოს—გიგო ბრატიაშვილს, სოფ. გლდანის—სარქის ხარიმიანცს და კარაპეტ პიპინოვს. მათ ბრალდებოდათ მაძებარი პოლიციის აგენტის პეტროს ტერ-ნაკანოვის მოკვლა.

✦ **გაზ. „რუსკი კავკაზა“-ს** კვირის მორიგი ნომერი არ გამოსულა. როგორც გადმოგვცეს, გაზეთმა სრულიათ შეუწყვეტია არსებობა, ვინაიდან მას მოუსპეს ის დახმარება, რომელსაც მემარჯვენეები აძლევდენ. რედაქციას 400 მანეთამდე ასოთ-ამწყობების ვალი დარჩენია.

✦ **წყალში დამარჩვალნი.** 9 ოქტომბერს, როგორც „ზაკ. იზვეს“ გადმოგვცემს ბათუმში ზღვას ნაპირას ამოუგდია დამხრჩვალი კაცის გვამი. 10 ოქტომბერს კი ერთი. ფიქრობენ, რომ წყალში დაიხჩო 26 კაცი, რომელნიც ოსმალეთში მიემგზავრებოდენო.

✦ **სამეურნეო გამოფენის დახურვა ქუთაისში.** კვირას, 10 ოქტომბერს დაიხურა ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო გამოფენა. გამოფენაზე მოტანილი ექსპონატები წაიღ-წამოიღეს.

✦ **თავის მოწამლვა.** 9 ოქტომბერს თფილისში მცხოვრებმა ოტტო ფრიდრიხ გურცმა მოინდომა თავის მოწამლვა და დალია კარბოლის სიმჟავე. ის გაგზავნეს მიხეილის საავათმყოფოში. მიზეზი თავის მოკვლის განზრახვისა გამოურკვეველია.

✦ **„ნაკადული“.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-10 №-რი მოზრდილთათვის და მე-19 ნომერი—მცირე წლოვანთათვის. ჟურნალში მოთავსებულია თომაშვილის, განდეგილის და სხ. ლექსები და მოთხრობები.

✦ **„დედა-ენა“ და „რუსსკოე სლოვო“.** მივიღეთ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები: „დედა-ენა“ პირველი ნაწილი (ქართული ანბანი) და „რუსსკოე სლოვო“ მეორე ნაწილი, მე-12 გამოცემა. ორივე ჩვეულებისამებრ საინტერესოთაა შედგენილი და სუფთა გამოცემაა.

✦ **შეპყრობა.** ამ დღეებში პოლიციამ დააპატიმრა საგ.-გუბერნატორიდან ადმინისტრატიული წესით გაგზავნილი კონსტანტინე ალავიძე და იოსებ ოსიხამაშვილი. მათ პასუხისგებაში აძლევენ.

✦ **სხვა და სხვა ამბები.** 10 ოქტომბერს გორის მაზ. მცხოვრებმა გიორგი კარეხნიშვილმა დანით დაჭრა ტ. არჩვაძე. დაჭრილი არჩვაძე საავათმყოფოში გაგზავნეს. კარეხნიშვილი დააპატიმრეს.—მაგისტრალნი ქ. მცხოვრებმა ვასილ ყასყაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ მისი ოთახიდან ვიღაცეებმა მოიპარეს 15 მ. ოქროს საათი. ეჭვით დააპატიმრეს კარეხნიშვილის ბავშვის ყოფილი ძიძა ბარბალე გოგოლაშვილი.

✦ **გაზ. „ფონი“.** კვირას გამოვიდა ქუთათური გაზეთი „ფონი“-ს მე-6 №-რი, რომლის შინაარსი შემდეგია: მეთაური, რის სადიმობდენ, შ. დადიანისა; ლექსი, გ. რუხაძისა; გრ. ვოლსკის (ნეკროლოგი) და ლექსი დ. მესხის და ბ. გელა—სი; სამეურნეო გამოფენა ქუთაისში გარ. ობ.; სიტყვა თქმული ქუთ. სამ. გამოფენაზე მ. დოლაბერიძისა; სამეურნეო სიეზდის უკანასკნელი სხდომა; სამეურნეო სწავლა-ცოდნის სახალხო სკოლების საშუალებით—გარ. ობ.—სა; დღევანდელი სტუდენტობა—რ—სა; რუსეთის ცხოვრება, უცხოეთის პოლიტიკური მიმოხილვა, მუშათა შორის, თეატრი—№-სა, კორესპონდენციები, დია წერილი ქამ ბადრიძე—ნარკვიანის მიმართ—გ. დორთქიფანიძისა და სხ.

---

## უკანასკნელი ფოსტა

### რუსეთი

**სამხედ. სასამართლოს განაჩენი.** სევასტოპოლში სამხედრო სასამართლომ გაარჩია ს. რ. პარტიის ცხრა წევრის საქმე. მათ ბრალდებოდათ ჯარის და ხალხის შეიარაღებულ აჯანყებისათვის მოწოდება. სასამართლომ ერთს გადაუწყვიტა ექვსი წლის კატორღა, სამს—ოთხი წლის, დანარჩენი გაამართლა.

**გაფიცვა.** სფიჩკების ქარხნის პატრონმა ლომონოვმა მუშებს სამუშაო დროს გადიდება გამოუცხადა. მუშებმა ამაზე გაფიცვით უპასუხეს. ლომონოვი მუშებს ემუქრება, თუ გაფიცვას არ შეწყვეტავთ, შობამდის ქარხანას დავხურავო.

**ბეკმანი და დუმბაძე.** დუბროვინის დეპეშას გენერალი ბეკმანი ძალიან აუღელვებია. ბეკმანს დუმბაძის დეპეშა სტოლიპინისათვის გადაუცია და განუცხადებია: „როდესაც საზოგადოების სხვადასხვა წრეებიდან უსიამოვნობას მაყენებენ, ამას დღევანდელ პირობებში ვითმენ, როგორც მთავრობის სამსახურში მყოფი, მაგრამ, როდესაც შეურაცხყოფას მაყენებს ისეთი პირი, რომელიც თვითონ მთავრობის მოხელეა, ამას კი ვერ ავიტანო“.

სამინისტროს უმრავლესობა გენ დუმბაძის მოქმედებით უკმაყოფილოა და კა-

ტეგორიულათ მოითხოვს, მომავალში მის თავაშვებულ მოქმედებას ბოლო მოეღოს.

**ვიბორგის გუბერნიის შემოერთება.** მინისტრთა საბჭოს რამდენიმე წევრს ვიბორგის გუბერნიის შემოერთების შესახებ თათბირი ქონდა. ამ თათბირის შემდეგ უმაღლეს მთავრობის წრეებში ეს საკითხი გადაჭრილათ მიაჩნიათ. მთავრობის აზრით ვიბორგის შემოსაერთებლათ ბევრი საყურადღებო მოსაზრებებია წამოყენებული. სხვათა შორის ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ასე ახლოს საზღვარი ხელს უწყობს რევოლიუციონერებს თავიდან აიცილონ „კანონიერი" სასჯელიო.

ეს საკითხი საკანონმდებლო დაწესებულებებში არ გაივლის.

### საზღვარ-გარეთ.

**რომის პაპი ფერერის შესახებ.** რომის პაპს უთქვამს, ახლო მომავალში გამოქვეყნდება ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც გამოარკვევს, რომ ეკლესიას ფერერის სიკვდილით დასჯაში წილი არ უდევს. ამ დოკუმენტის გამოქვეყნების მიზანია, შეასუსტოს ანტიკლერიკალური მოძრაობა, რომელიც უკანასკნელ დროს ძალიან სწრაფათ იზდებაო.

**ლიტერატორთა და მსწავლულთა პროტესტი.** გერმანიის პრესაში გამოქვეყნებულია გერგარდ ჰაუპტმანის, ერნსტ გეკკელის, ლუი ბრენტანოს და გერმანიის ინტელიგენციის სხვა ბელადების საპროტესტო მოწოდება ფერერის წამების წინააღმდეგ. ხელის მოწერის შემდეგ ეს მოწოდება გაეგზავნება ისპანიის მთავრობას.

**ბრიტანიის პარლამენტში.** ლიბერალებმა პალატაში მხარი არ დაუჭირეს ფერერას წამების წინააღმდეგ შეტანილ პროტესტს, ვინაიდან ამით მათ უნდობლობის გამოცხადება არ უნდოდათ გარეშე საქმეთა მინისტრ გრეისათვის. წინადადება მოხსნილ იქნა მემარცხენე დეპუტატების სურვილის წინააღმდეგ.

**ქალების მიტინგი ბერლინში.** ბერლინში ქალთა მიტინგი გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მიტინგზე ორატორებმა სასტიკათ გაკიცხეს ისპანიის მთავრობა ფერერას წამებისათვის. ხალხს პოლიციელებთან შეტაკება მოუვიდა, რომლის დროსაც ერთი ქალი მძიმეთ დაიჭრა.

**ფერერას დასაფლავება.** ფერერა დაასაფლავეს 1 ოქტომბერს, ე. წ. ბარცელონის სამხრეთ-დასავლეთ სასაფლაოზე. დასაფლავებას, მთავრობის ნებართვით დაესწრო ფერერის ღრმათ მოხუცებული დედა და რამოდენიმე ახლო ნათესავი. მთავრობამ ქირისუფლებს ნება მისცა საფლავზე ჯვარი დაესოთ. როდესაც კუბოს მიწას აყრიდენ, ფერერას დედას გული წაუვიდა.

უნტერ-ოფიცერი, რომელიც ფერერას დახვრეტას დაესწრო შემდეგს გადმოგვცემს: „ფერერ სიკვდილს გმირულათ შეხვდა. სიკვდილის წინ მან ჯარისკაცებს მიმართა და უთხრა: „შვილებო, თქვენ ჩემს წამებაში ბრალი არ გიდევთ. მიზანში სწორა ამომიღეთ. მე უდანაშაულო ვარ. გაუმარჯოს.... თოფების გრიალმა ფერერას უკანასკნელი სიტყვები შეაწყვეტია.

## „ჯეჯილი"-ს 20 წელი.

—

1909 წლის ბოლოს შესრულდება 20 წელიწადი მას შემდეგ, რაც ქართულს ენაზე საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" გამოდის. სამწერლო ჭეშმარიტება მოითხოვს, რომ ამდენის ხნის განმავლობაში არსებულის საბავშვო ჟურნალის შესახებ ითქვას რამე. მის არსებობას ორნაირი საპატიო მნიშვნელობა აქვს, პირველი: რომ მისი რედაქტორი მწერალი მანდილოსანი ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა გახლავთ და მეორე, რომ ამ ჟურნალმა ჩვენს გათახსირებულს დროში 20 წელს შესძლო და იარსება.

ორივე საგანი საყურადღებოა, ორივეზე ვიტყვით რამეს.

ქართველ ქალთა სამწერლო და საზოგადო საქმეთა მოღვაწეობის ისტორია ერთობ დატაკია, ღარიბი. ბეჭდვითი სიტყვის ასპარეზე, მთელ საქართველოში 1860 წ. ერთადერთი ბარბარე ჯორჯაძისა გამოჩნდა და ჩვენის პოეტის რაფიელ ერისთავისა, რომელმაც „ცისკარში" სწერა სხვადასხვა წერილები, მოთხრობები, დრამა-კომედიები და კრიტიკული წერილები. მას პოლემიკა ქონდა 1863 წ. ილია ჭავჭავაძესთანაც. ამ ქალის სამწერლო მოღვაწეობის მცირე ხნის შემდეგ გაჩნდენ სხვებიც: ელენე დორთქიფანიძისა, ასული დიმიტრი ყიფიანის, ეკატერინე დვინიაშვილისა, ეკატერინე გაბაშვილისა და ნიკოლოზ ნიკოლაძის დები ორნი. 1873 წ. ამათ გამოსცეს თფილისში მშვენიერი წიგნი „თარგმანი ქართველი ქალებისა".

დავასახელებთ, რომ ამ წიგნში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო ეპიზოდი პარიზის კომუნელთა ცხოვრებიდან 1871 წ. და ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობა „ოთხმოცდაცამეტიდან სახრჩობელაზე". სხვა თარგმანებიც ასეთისავე შინაარსისა იყვენ. ამ წიგნმა მაშინდელს დაძინებულ ქართველებზე დიდი გავლენა იქონია, ის მალე გასაღდა. დღეს ეს წიგნი სანახავათაც აღარ არის. ესევე მანდილოსნები თარგმანებით შრომობდენ და მათი ნაწერები იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში", რომელიც 1866 წ. გამოდიოდა და „მნათობში", რომელიც 1861 წ. დაარსდა.

მაშინ ქართველ ქალთა ასპარეზი ერთობ ღარიბი იყო. მწერლობაში კაცებიც სანთლით საძებარნი იყვენ და აბა, ქალები რაღა იქნებოდა. ქართველ ქალთა სამწერლო ასპარეზი ჯერეთ არავის გაეგონა. აქ ხსენებულ პირველ ყოფილ მანდილოსანთ ბოლოს მალე მოჰყვენ სხვა ქალებიც, რომელთაც ზოგმა სცენაზედაც იწყეს თამამათ გამოსვლა და ზოგმა მწერლობაც დაიწყეს. ასეთნი იყვენ ეკატერინე გრიგოლის ასული მესხისა, ასული მელიქიშვილისა, ძმა ამ ქალისა სტეფანე მელიქიშვილი იყო გამომცემელი 1866 წ. გაზეთ „დროების" და პატრონი 1865 წ. თფილისში მესანიშნავი ქართულის სტამბისა. ეკატერინე მესხისამ დიდათ იშრომა „დროება"-ში და სხვა გამოცემებშიც. გახლდათ კიდევ ბარბარე თუმანიშვილისა და ანასტასია, რომელიც ერთობ უდროვოთ გარდაიცვალა, ამის ერთი თარგმანი სტეფენსონი 1817 წ. ცალკე წიგნათაც გამოიცა. ამათივე თანამედროვე გახლავს ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა. ამათ გარდა იყვენ თითო ოროლა სხვა ქალებიც, იმერეთშიაც იჩინეს თავი მწიგნობარ ქალებმა. იმერთ ქალთ რიცხვი ისე დაწინაურდა, რომ 1880 წელს მათ საკუთარი ქართველ ქალთა თვიური ჟურნალი „თარგმანაც" კი დააარსეს, სადაც მარტო ქალები შრომობდენ. სამწუხაროთ, ამ ჟურნალმა მცირე ხანს გასძლო.

აი ასეთის ღარიბის ქართველ ქალთა ასპარეზიდამ გამოჩნდა და გამოვიდა სამშობლო მწერლობის ასპარეზზედ პატივცემული ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა, რომელიც აგერ 30 წელიწადია, რაც ქართული მწერლობის ასპარეზზედ მოღვაწეობს და 20 წელიწადია მას შემდეგ, რაც იგი რედაქტორობს და ბეჭდავს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს". ეს მოკლე მიმოხილვა ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ, რომ მკითხველმა მცირეთ მაინც იცოდეს ისტორია ქართველ ქალთა სამწერლო ასპარეზის აღორძინებისა, მის განვითარების და ავ-კარგიანობის.

აქ ჩვენ არ დაგვისახელებია ის ქალები, რომელთაც 1852 წლების შემდეგ, ხანდისხან ქართულს სცენაზედაც გამოდიოდენ და წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდენ. ასეთ ქალთა შრომა თეატრის საქმეს შეეხება და ამიტომ ეს ნაწილი თეატრს დავუთმეთ. ეხლა ჩვენ შევუდგებით საყმაწვილო მწერლობის საქმეს და მის მოკლე ისტორიის აღწერას.

ჩვენ, ქართველებს, ქართული მწერლობა ერთობ ღარიბი გვქონდა. 1870 წლამდის ქართულს მწერლობაში არ მოიპოვებოდა არც ერთი სახელმძღვანელო, იყო ანბანის წიგნები, მაგრამ ყოველივე იგინი ლოცვებით და ასეთის ზღაპრებით შედგენილები, რომელიც საყმაწვილო საკითხავად არ ვარგოდენ, ერთის სიტყვით, მთელს ქართულს მწერლობაში თქვენ ვერ იპოვნიდით ერთ წიგნს, რომ იგი საბავშვო საკითხავად ვარგებულიყო. ასეთ დროს არსებობდა იაკ. გოგებაშვილის „ბუნების კარი" და ანბანი, ორიოდეც სხვების წიგნები, უფრო კი კლერიკალურად შედგენილები. 1875 წ. გამოვიდა „დედა-ენა" რომლის მოვლენა იმ დროს და დღესაც იყო და არის შესანიშნავი.

„დედაენის" შემდეგ 1880 წ. ან. ჯუღელმა თფილისში გამოსცა საყმაწვილო პატარა ჟურნალი „წყარო", სულ ოთხი წიგნი გამოიცა. 1882 წ. გამოიცა ან. დუღაძის რედაქტორობით პირველი საყმაწვილო თვიური ჟურნალი „ნობათი", ამ ჟურნალმა გასტანა სულ სამ წელს, მერე ესეც მოისპო. ვლადიმერ აღნიაშვილმა გამოსცა მთელი სერია საბავშვო მშვენიერი წიგნების სხვა და სხვა პირებიც ბეჭდავდენ.

საყმაწვილო მწერლობის ასპარეზი არა სჩანდა, მისი ნიადაგი თითქოს არ არსებობდა, ჩვენში ყველა გრძნობდა საყმაწვილო წიგნების უქონლობას სიღატაკეს, არარაობას და მასთან იმ გარემოებასაც, რომ დღითი დღე მოზარდ ბავშვებთა რიცხვი კარგათ მატულობდა და მათში ბევრნი წიგნების კითხვასაც დიდათ საჭიროებდენ მაგრამ მაშინ სად იყო საბავშვო წიგნები. ასე იყო დაქვეითებული ჩვენი საჟურნალო მწიგნობრობის საქმე. ასეთი არარაობა ბევრს აფიქრებდა და აღონებდა კიდეც.

ასეთ უარარაობას, სიღარიბის და საყმაწვილო მწიგნობრობის ნიადაგის უქონლობის დროს, სამწერლო საბეჭდ ასპარეზზე თამამად, ერთგულად გამოვიდა ანასტასია მიხეილის ასული, რომელმაც ბევრის თათბირის შემდეგ, გადაწყვიტა ქართულს ენაზე საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" გამოცემა. პირველ წელიწადს საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა ძნელი იყო, ამიტომ პირველის წლიდამ „ჯეჯილი" ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა.

უნდა ითქვას, რომ 1890 წ. საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა ჩვენში ძნელი საქმე იყო, რადგანაც ბევრნი საყმაწვილო წერილების წერას სულ არ იყვნენ შეჩვეულნი, ამიტომ ერთსა და იმავე დროს, ჟურნალს ორნაირი სამსახური უნდა გაეწია, პირველი: მოზარდი თაობისათვის უნდა მიეწოდებინა საჭირო საკითხავი ნაწერები და მეორე—მასთანვე უმრავლესობაც უნდა მოემზადებინა საყმაწვილო მწერლობის საწერად და სათარგმნად. ცხადი საქმეა, რომ იმ დროის ახალი ჟურნალისთვის ერთიც რთული უნდა ყოფილიყოს და მეორეც.

მაგრამ ამ ჟურნალმა თავისი ენერგიული პატრონის საშუალებით ერთიც შესძლო და მეორეც. თავის შეძლების დაგვარათ ყველას გაუწია სამსახური და თან მოახერხა ისიც, რომ შემდეგ წლებში, ორ თვიურიანი ჟურნალ „ჯეჯილი" თვიურ ჟურნალად გადაკეთდა და აგერ ოცი წელიწადია მას შემდეგ გასული, რაც ეს გამოცემა თვიურად გამოდის. ამ გამოცემის დაწყებით დაფუძნდა ჩვენში საყმაწვილო მწერლობის ნიადაგი, ამ ჟურნალისავე საშუალებით შეიკრიბა და დაისტამბა ბევრი რამ ჩვენის სიტყვიერების მასალების და ვინ იცის კიდევ სხვა ამ გვარნი, რომელიც გაბნეულნი არიან „ჯეჯილის" ფურცლებზე. ამას ვგონებთ ეჭვი არ უნდა.

„ჯეჯილმა" თუ რა სამსახური გაუწია ჩვენს მწიგნობრობას და მოზარდ თაობას, ეს, ვგონებთ ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. ჟურნალი ამდენი ხნის განმავლობაში გამოდიოდა ყოველთვის ერთგულათ, დანიშნულ დროს და მასთან შინაარსითაც ღირსეულად, რამდენადაც აქ იბეჭდებოდა ევროპიულის ენებიდან ნათარგმნი ნაწერები, იმდენათვე აქ იბეჭდებოდენ ქართული სახალხო ზღაპრები ლექსები, ლეგენდები, ანდაზები და მრავალიც სხვა ასეთი ერის საუნჯე და საღაროთ. დავასახელებთ აქ იმასაც, რომ ამ ჟურნალის რედაქტორი ანასტასია მიხეილის ასული „ჯეჯილის" გამოცემის დროსვე იყო მოღვაწე სხვა და სხვა ქართულ საზოგადო საქმეთა, საკითხველოების, სხვა და სხვა საქმეთა შესრულების, წიგნების გამოცემის და ამას გარდა ბოლოს რედაქტორიც—კვირეულ გაზეთ „კვალის".

ყოველივე ეს გვავალებს, რომ ამ პირის თავ-განწირვით შრომას, ენერგიულათ საქმის მართვა-გამგეობას ყურადღება მივაქციოთ და მისი 20 წლის ნაყოფიერი მუშაკობა ღირსეულათ აღვნიშნოთ. ზ. ჭ.

### წერილი ოზურგეთიდან

—

ვინც კარგათ იცის თუ საიდან წარმოსდგება სახელი ოზურგეთი, იმას სრულებითაც ირ გაუკვირდება არც ოზურგელების ბედ-იღბალი. უსხოვარმა მტერმა ოზურგეთი მოწვა და შემდეგ მომწყვარი ადგილის გაპოხიერება მაინც გამოიმეტა, მაგიერის დატოვება მაინც მოუვიდა ფიქრათ. დღევანდელი ჭირისუფლები კი ასეთ წყლობაზედაც შორს არიან. გვახსოვს თათრობა, გვახსოვს ტყვეს გაყიდვა, გვახსოვს ბატონყმობა დახშული, ჯადვარ ჩაყრილი ენა, გვახსოვს კრილოვის ნიგუზალი, დიმიტრის თარეში, ნიკო პოსრედნიკის სტრაჟნიკობა, კოწია ბერიძის ასლანის ხვირჯინი, დავითის ჯვარი, გვახსოვს ტოლმაჩოვის ბაქი-ბუქი, მიქიევის პარტყა-პურტყა, ქრთამი, ცისე, გადასახლება, გამათრახება—გვახსოვს ბევრი შავი დღე, მაგრამ ასეთს შავს დღეს, ეხლა რომ განვიცდით, ჯერ არავის არ განუცდია.. გვადგას შავი დღე, გაგვითენდა შავი ყველიერი სწორეთ მას შემდეგ მზიანს რომ ველოდით, დასვენებას და წელში გამართვას რომ ვფიქრობდით. ტყვეს გაყიდდენ დახსნა შეეძლო, ერთი ბატონის ყმობას ვერ გაუძლებდი, მეორეს მიენდობოდი კრილოვი მიკისმენდა, საჩივარს მიიღებდა, გამოძიებას დანიშნავდა, ტოლმაჩოვი გადაასახლებდა—მოხვიდოდი. მართალია, მის დროს „სტრაჟნიკებათ" ინგუშები და ლეკები იყო, მაგრამ როცა მათ მშობლებს შეატყობინეს მათი ყდიერი საქციელი, მათმა მშობლებმა და სასულიერო პირებმა შეაჩვენეს მათი საქციელი, — დაგმეს და უკანვე გაიწვიეს. დღეს რას ვხედავთ, რა დღე გვადგას „კონსტიტუციურ სახელმწიფოში", სამხედრო წესების გაუქმების შემდეგ! მოგვისიეს მეზობლების ხროვა, გაუნათლებელი ტრაბა რაზმი ყველამ კარგათ იცის რა აუტანელია. დიახ. დიდათ აუტანელი შეიქნა მეზობელი ვაჟბატონები, მაგრამ რას იქ! ერთი მათგანი, რომ რამეს დააშავებს, მას როგორც ერთი, ყველა მისიანი მიეშველება, რადგან ერთი მეორეს ან კვიდრი ძმაა, ან ახლობელი ნათესავი. რაკი ზევიდანაც ხელს უწყობენ, ეს ვაჟბატონებიც სავსებით სარგებლობენ დროთი, მტყუან მართალის გაუკითხავათ სცემენ „მათრახს", უშვერი სიტყვებით იგინებიან, ყოველივე წარსულს ხალხისას მასხარათ იგდებენ, არ იმარეს ის, რომ შური და მტრობა დათესეს ჩრდილოეთის მეზობლებთან, ეხლა შეუდგენ და ქართველ მაჰმადიანებს გვისისიანებენ; თუ მათი გავიდა, სურთ გურია შუაზე მოიმწყვდიონ,—გაასადგურონ. მათმა ქადაგებამ უკვე გამოიღო ნაყოფი და დიხაურში მოკლეს საწყალი მუშა კაცი თოიძე. როცა საქმე გამწვავდა ერთმა მართახოსანმა აშკარა პროვოკაციას მიმართა. მაჰმადიანების საქციელი ყორანით შეაქო, ლეხოურელებს უთხრა: გასაწყვეტი ხართ და ელოდეთო. აღშფოთებულმა ლეხოურელებმა იჩივლეს, მაგრამ, ჭკოი საკვირველებავ, რაც მათ პატარა მდინარეს წაედო დიდ მდინარეში ჩაეტანა. შეიქნა კვლევა ძიება არა დამნაშავე პროვოკატორის, არამედ საჩივარის დამწერის, საჩივარზე ხელი ეწერა ოთხმოც კაცს, მაგრამ ეძებეს მარტო მისი დამწერი, რომელიც გაფირალებას აპირებდა, მაგრამ ამჯობინა ჩაფურჩულებით თავის გამოძვრენა და სხვების გაცემა. ასეც მოიქცა და მით, „ბარაქალა პედაგოგის" სახელი დაიმსახურა. ეხლა ეძებენ მეთაურებს, ეძებენ ხმის ამომღებს, თუ ვინ გაბედა საჩივარი. მოელიან თვით გუბერნატორს. ვნახოთ, რა იქნება. ჩვენ კი დავადიდებთ ანტონ ფურცელაძის სიტყვებს „საკაძის ქალი საქართველოს დედოფალი კაი ქვეყნის დაღუპვამ—ვნახოთ ბოლო რა იქნება". *)

არ იქნება ზედმეტი ერთ მაგალითს მეორეც მივაყოლოთ და ამით დავასურათოთ „დიასკვების" დიქტატურა. ამას წინათ ქალაქის „მართახოსანმა" სასტიკათ სცემა ქალაქის მოიჯარადრეებს. გაიგზავნა დეპეშა. ეძებს დეპეშის დამწერი. ამის შემდეგ დაიწერა ვრცელი წერილი რუსულათ ბათუმის გაზეთში. ეხლა ეძებენ წერილის ავტორს. ნაცემი ხომერიკი შეამოწმა პატივცემულმა ექიმმა ერისთავმა, ადგილობრივმა „სტრაჟებმა" რაკი ის ვერ დაიჭირეს, ის მაინც ქნეს—გუბერნატორს დაბარებინეს, მაგრამ ჯერჯერობით ამაოთ. ამის შემდეგ უხმანეს ქალაქის თავს ბებერიშვილს, თითქოს მას უღიერი სიტყვით მოეხსენებინოს მთელი პოლიცია. აფრინეს „პროტოკოლი", შესძრეს მთელი ოზურგეთის ბნელი ძალები, შემოიკრიბეს გარშემო და ეწევიან თვითმართველობის წინააღმდეგ სასიკვდრო-სასიცოცხლო ომს. ამას ხელს უწყობს ოზურგეთელი დეკმირები, რომელთაც ესიზმრებათ სხვადასხვა საპატიო და სახრავი ადგილები, მაგრამ ყოველთვის „კოკა წყალს არ მოიტანს ერთხელაც იქნება, წყალზე გატყდება ისე, როგორც ბევრი ასხვაგ გატეხილ-დამსხვრეული. ბანძელი.

### წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს.

მომავალის № 28-ში დაბეჭდილი იყო გ. ჩხარელის წერილი, სადაც ის აღნიშნავდა თფილისის მკერვალ მუშათა შორის ჯოჯოხეთურ ცხოვრებას. ეს სინამდვილეა, რასაკვირველია. რაც შეეხება ბ. ჩხარელის მოყვანილ პირველ მაგალითს, ვითომ თფილისის საეკონომიო საზოგადოების სამკერვალოში ფასების დაკლების გამოცხადებას მუშები სიხარულით მიეგებენო, ეს სიმართლეს მოკლებულია.

ასეთის ცილის წამებისა და გაუგებრობისათვის ჩხარელს დიდი ბოდიშის მოხდა დასჭირდება საეკონომიო მკერვალთა მუშების წინაშე, რომლების ღირსება - პატიოსნებას ჩირქსა სცხებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს მთელ საზოგადოებაში.

გასაკვირველია, რით ხელმძღვანელობს ჩხარელი, როცა ესეთი ცილის წამება გაზეთის ფურცლებზე გადააქვს. ორი წელიწადია საეკონომიო საზოგადოების გამგეობამ გამოაცხადა მუშებს (ПОДЪРЯДНАЯ РАБОТА) ფას დაკლებით აღარ სამუშაო, მაგრამ ამაზე მომუშავეებმა უარი განაცხადეს. ამ უკანასკნელ ხანებში გამოჭრეს რამოდენიმე ნაჭერი, და ჩვეულებრივათ დაურიგდა შესაკერათ მუშებს, მაგრამ, საუბედუროთ, ფულის აღების დროს ნაკლები ფასები გამოცხადდა. ამაზე შეიქნა დიდი აურ-ზაური, რასაც (ПОДЪРЯДНАЯ работа) შედეგათ ის მოყვა, რომ მკერვალებმა შეკერვაზე უარი განუცხადეს.

მუშების მონდობილობით:
გარსო და კანელიკა.

*) საკაძის ქალი შეგიძლიათ რომელიმე „სკუათ ან დიათ" შეცვალოთ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

**კოოპერაცია**
(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

მ ი ი ღ ე თ
სალდათის ძველი
**შინელი**
შუა ბაზარში, მეტყავის მაღაზიაში, ძმათა შარბაბჩევთან. (2—1)

**მსურველთა საყურადღებოთ**

არა ერთხელ და ორჯერ დავუფიქრებივარ ზოგიერთა შეგირდების მდგომარეობას, რომელნიც უდგებიან ხაზეინებს ოთხი ხუთი წლით, რომ შეისწავლონ საპარიკმახერო ხელობა, მაგრამ ხშირათ კი უფრო მოტყუებული რჩებიან, რადგან ხაზეინები ვერ უდებენ გულს, რომ დააკმაყოფილონ მოსწავლეთა სურვილი. ამის გამო დიდი ხანია აღმეძრა სურვილი დავაარსო კერძოთ საპარიკმახერო სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლენი მთელ კურსში გაივლიან 35 ნაწილს (საგნებს) მოკლე დროთი და ხალხისაწდომ გადასახადით, რათა, გაუმჯობესდეს ჩვენი ხელობა და დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა წყურვილიც.

განმიხორციელდა დიდი ხნის სურვილი და მივიღე ნებართვა დავაარსო სასწავლებელი და განვიზრახე დავიწყო მოქმედება ამა ღვინობისთვის 23 რიცხვიდან თუ მოსწავლეთა რიცხვი ათს აღემატება. მსურველთ შეუძლიან მოითხოვონ პროგრამა, რომელშიაც აღნუსხული იქნება ყველა სამუშაო ნაწილი—35 (საგანი), დრო კურსისა და გადასახადი.

**ადრესი**: მე-9 ნაწილი, არხიპოვსკი ტუპიკი. დ. ი. გაბრუაშვილი, საკუთარ სახლებში.

**დ. ი. გაბრუაშვილი.**
1—1

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი"
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ
„Кахетія"

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 0 бут. | — 15 к. | 16 бут. | — 2 р. 10 к. |
| № 1 „ | — 20 к. | 16 „ | — 2 р. 80 к. |
| № 2 „ | — 25 к. | 16 „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 „ | — 35 к. | 16 „ | — 5 р. 10 к. |
| № 4 „ | — 50 к. | 16 „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7.
Михаилу Николаевичу Кодалову.

**ამ ოთხი წლის წინათ**

ქ. ოზურგეთიდან წავიდა ჩემი შვილი სამსონ ელიაძე 24 წლის სრულს ჭკუაზე მყოფი. ერთი წლის განმავლობაში ხარბინიდან მისგან ვღებულობდით წერილს მერმეთ არაფერი ვიცი. ვსთხოვ ყველას: ვინც იცის მისი რამე მაცნობოს დაუფარავათ ქ. ოზურგეთში

ანტონ ელიაძე. 2—2

პირველ ნოემბრიდან
თფილისში გამოვა მოწაფეთა ახლო მონაწილეობით ალმანახი

**პირველი ტალღა**

რომელსაც არავითარი კავშირი არ ექნება „პირველ ნაბიჯის" რედაქციასთან.

მასალები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით:
Кирочная ул. № 9, Книжный магазинъ „Аліони" для Альманаха. 2—2